საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/11

26 იანვარი 2023 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გურანდა მახარაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, ბსუ-ს რექტორის 2012 წლის 28 სექტემბრის N01-09/440 ბრძანების (გურანდა მახარაძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ), "საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისთვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 20 ნოემბრის N01-09/830 ბრძანების (გურანდა მახარაძისთვის ბსუ-ში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ), „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან სადოქტორო-საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 27 სექტემბრის №01-08/514 ბრძანების (გურანდა მახარაძის დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების შესახებ), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (23.01.2023, ოქმი N27–20/2) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (25.01.2023 № 76656) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბიოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ გურანდა მახარაძის სადისერტაციო ნაშრომის: **„შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზოლის (სარფი-ფოთი) ეპიფაუნის ბიომრავალფეროვნება"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 10 თებერვალს 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

ა) ნანა ზარნაძე- ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ინგა დიასამიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;

გ) ნათელა ვარშანიძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

დ) თეა ქოიავა - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ე) ჟანა ჭითანავა - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ვ) თემური გოგმაჩაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ემერიტუსი;

ზ) რეზო გორაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ–ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;

თ) მარინა მგელაძე - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო-მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი;

ი) რევაზ დიასამიძე - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო - მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მეთევზეობისა და აქვაკულტურის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, ბიოლოგიის დოქტორი;

კ) ტარიელ წეროძე - შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის“ ზღვის ძუძუმწოვრების განყოფილების უფროსი, ბიოლოგიის დოქტორი;

ლ) ეთერი მიქაშავიძე - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო - მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის წყლის ბიომრავალფეროვნების მთავარი სპეციალისტი, ბიოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**